ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

3 იანვარი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 2 (10 415) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მიმართვა ტელევიზიით

● **ახალი**, 1991 წლის დადგომის წინ, ტელევიზიით გადაიცა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გატონ ზვიად გამსახურდიას საახალწლო მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი. მიმართვის სრული ტექსტი 1 იანვრის ნომერში გამოაქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

გვილოცავენ

ჟ. აველანჟი და

ი. ბლატერი

Season's Greetings and a Happy New Year

Joyeux Noël et Bonne Année

Frohe Festtage und ein glückliches Neues Jahr



The Fédération Internationale de Football Association
send their Season's Greetings
and Best Wishes for a Happy New Year

The President — The General Secretary

Fédération Internationale de Football Association
P.O. Box 85 CH-8030 Zurich Telephone 01/55 54 50 Cable address: FIFA Telex 817340 FIF CH Telefax 01/55 42 39

გუშინ საგანგებო წერილი მივიღეთ ციურიხიდან, ფიფა-ს შტაბბინიდან. ფეხბურთის საერთაშორისო პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი და გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი „ლელოს“ რედაქციას ახალი, 1991 წლის მობრძანებას ულოცავენ.

ტელექსი გერმანიიდან

საქართველოს რესპუბლიკის ნარდის ეროვნულ ფედერაციას

ბატონებო!

ა. წ. 23 დეკემბერს ქალაქ ჰამბურგში ჩატარდა ნარდის ევროპის ასოციაციის წლის შემაჯამებელი სხდომა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა საქართველოს ღია ჩემპიონატი 1990 წლის საუკეთესო ტურნირად!

გილოცავთ შობას და ახალ წელს!

გისურვებთ წარმატებას და თქვენი გასაოცარი და მშვენიერი ქვეყნის დამოუკიდებლობას!

უღრმესი პატივისცემით

ვერნერ ვაშკე,

პრეზიდენტი.

24 დეკემბერი, ჰამბურგი.

... შეიქმნა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ საქართველოს მრეწველმშენებანკის საოპერაციო სამმართველოში — სწბ № 521921. „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი“

00700750

ველით თქვენს გამოხმაურებას. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ „ლელოს“ რედაქციაში.

სპორტლოტო—6000!

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმოს უფროსმა ს. რამინიშვილმა გვაცნობა, რომ ამ საწარმომ სამაჩაბლოს ფონდში შეიტანა 6 ათასი მანეთი.

ვეტერან ფეხბურთელთა კავშირიდან 10 000!

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირმა (პრეზიდენტი კ. ახათიანი) სამაჩაბლოს ფონდს, როგორც გუშინ ამ კავშირიდან გვაცნობეს, 10 ათასი მანეთი შემატა.

10 ათასიც ქარელიდან

ქარელის ხაზკვების საწარმოთა გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებმა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადარიცხეს 10 ათასი მანეთი.

ხაზკვების დირექტორი **ი. ჯერეჯიშვილი.**

(დეპეშით).

ხოხუმელები თქვენთან ვართ!

ხოხუმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო კოოპერატივმა „აბრუალიხმა“ თანამშრომელთა შენატანით სამაჩაბლოს ფონდს 500 მანეთი გადაუგზავნა.

კოოპერატივის თავმჯდომარე **პატარა ჩხენკელი.**

ხოხუმი, (დეპეშით).

რესტორანი „მტკვარი“— 3 525 მანეთი!

თბილისის რესტორან „მტკვარის“ (დირექტორი ფ. კიკალიშვილი) მუშა-მოსამსახურეებმა 3525 მანეთი შეიტანეს „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“.

იანვარი

რა დღეებში უნდა ვიყოთ ფრთხილად?

3 იანვარი. დედამიწისათვის ეს დღე მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნება — ამ დღეს იგი გაიარეს მზემდე ყველაზე ახლო წერტილს. ზუსტად ამ მომენტში, ჩვენს პლანეტაზე დადგება კოსმოსური ახალი წელიწადი.

11 იანვარი. ამ დღეს მთვარე აღმოჩნდება მარსის ოპოზიციაში. დედამიწაზე მოსალოდნელია ტრავმები, ხანძრები, ავარიები, ამიტომ საჭიროა ვიყოთ უკიდურესად ფრთხილი. ნაკლებწილად ივივე ფაქტორები აღინიშნება **7-9 იანვარს.**

14-15 იანვარი. განსაკუთრებით სიფრთხილე მართებთ ტრანსპორტზე და პულტებთან მომუშავე ადამიანებს.

23 იანვარი. ვარაუდობენ მიწისძვრებისა და სხვა არასასურველი ბუნებრივი პროცესების გაძლიერებას.

26-28 იანვარი. ადამიანებში თავს იჩენს გამაღიზიანებელი ფაქტორები, რეაქციისა და მოქმედების უზუსტობა. ეს იქნება განსაკუთრებით საშიში პერიოდი ყველა სფეროს საქმიანობაში. ხსენებულ მოვლენებს უნდა დავუპირისპიროთ მაქსიმალური ყურადღება, მობილიზება, თვითდისციპლინა.

იყავით ფრთხილად!

რა დაეშვა ორიალეთის ქედზე?

31 დეკემბერს, დაახლოებით 23 საათსა და 55 წუთზე, ბინის აივნიდან მთაწმინდისა და კუს ტბის ქედის თავზე, შევნიშნე მოკაშკაშე სფეროსმაგვარი საგანი, რომელიც ციდან დედამიწაზე ვერტიკალურად ეშვებოდა. მიწასთან მიახლოებისას, საგანმა ფრენა შეანელა, მერე ჩემს თვალს მოეფარა, რადგან ქედს მიღმა ჩაეშვა. შემდეგ უეცრად ისევ ამობრწყინდა, თითქოს ბურთმა იატაკიდან აირეკლა, ერთთავად ბოლში გაეხვია და კვლავ ჩაეშვა. ბოლი კარგა ხანს არ გაფანტულა და ჩინებულად მოჩანდა დაბლიდან განათებულ შუქზე. ამ მოვლენის ბოლო მომენტი ოჯახის წევრებმაც იხილეს.

ალექსანდრე კოტორაშვილი,

„ლელოს“ თანამშრომელი.

როგორც ვიუწყებოდით, ახლახან, თბილისში, ორხევში გაიხსნა ფარიკაობის სპეციალიზებული დარბაზი, რომელიც გაერთიანება „ხაჭინტურისტმშენმა“ ააგო. იქვე გაიმართა საქართველოს პირველობა ფარიკაობაში. (იხ. მე-2 გვ).



ხანმოკლე არდადეგები

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში („ბ“ ჯგუფი) ხანმოკლე არდადეგებს პერიოდი დადგა, სწორედ ამიტომ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გადავხედავთ სატურნირო ცხრილს. მაგრამ ერთი რამ აქვე უნდა აღვნიშნოთ: „აეროფლოტის“ მიზეზით რამდენიმე მატჩი არ გაიმართა (მაგალითად, ტაგანროგის „კრასნი კოტელშჩიკი“ ვერ ჩაფრინდა ირკუტსკსა და ნერიუნგრიში, რის გამოც. მათ ნაკლები შეხვედრები აქვთ ჩატარებული) და ამდენად, სატურნირო ცხრილი არ არის სრული.

	თ.	მ.	წ.	ქ.
რტი (მინსკი)	7	7	0	14
„დინამო“ (თბილისი)	7	6	1	13
„ხტროიტელი“ (ირკუტსკი)	6	5	1	11
ახკ (რიგა)	7	4	3	11
„იმპულსი“ (კრასნოდარი)	7	4	3	11
„ავტომოტიენიკი“ (სარატოვი)	7	4	3	11
„შახტიორი“ (ნერიუნგრი)	6	4	2	10
„ლოკომოტივი“ (ნოვოსიბირსკი)	7	3	4	10
„ხტროიტელი“ (მოსკოვის ოლქი)	7	1	6	8
„კრასნი კოტელშჩიკი“ (ტაგანროგი)	5	2	3	7
„დინამო“ (ფრუნზე)	7	0	7	7
„ხტროიკერამიკა“ (დონეცკი)	7	0	7	7

გამარჯობა, მკითხველო!

№1 — 28.12.1990

სარბიელი

უფასოდ გადანაწილებული სპორტული გაზეთი

ნოემბერი

ჩვენ ... ფა

ფსიქი

ქართული სპორტის ...

ქუჩებში ხელი

მოკიდეს.

მიხი სახელია „სარბიელი“. დაბადების თარიღი 1990 წლის 28 დეკემბერი. ესაა თავისუფალი სპორტული გაზეთი, რომელიც მენეჯერთა კავშირმა გამოსცა. ყოველი ახალი ქართული გამოცემა საბედნიერო მოვლენაა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით იხ გვახარებს, რომ ახალი გაზეთი სპორტულ პრესას შეემატა. „ლელო“, რომელიც 1990 წლის 23 დეკემბრიდან თავად გახდა დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი, გულითადად მიესალმება ახალი სპორტული გამოცემის დაარსებას. საქართველო სპორტული რესპუბლიკაა და დიახაც, რომ იგი იმსახურებს სპორტული პრესის სიმრავლეს, თუმცა, ორი გაზეთი და ერთი საუმაწვილო ჟურნალი „მართვე“, რომელიც წელიწადში მხოლოდ ოთხჯერ გამოდის, ძალიან ცოტაა.

ლელოელებს ახალი გაზეთი გვეამაყება იმიტომაც, რომ „სარბიელი“ ჩვენი ყოფილი შემოქმედებითი მუშაკების ხელიდან იშვა. „ლელოს“ მკითხველებს შეგახსენებთ მათ სახელებს: ზურაბ ფოცხვერია (რედაქტორი), ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), გიორგი ჩოჩიშვილი...

„სარბიელის“ კრედო გაზეთისავე პირველ ნომერშია გაცხადებული. მკითხველებისადმი მიმართვაში ვკითხულობთ: „...შეუდარებლად მნიშვნელოვანის პასუხისმგებლობა მკითხველისა და, ცხადია, ქართული სპორტის წინაშე, რომლის ერთ-ერთი თანამდგომი, იმედი გვაქვს, ჩვენც ვიქნებით“.

გზა მშვიდობისა, „სარბიელო“!

„ნეტარ არიან მოწყალენი“...

ინტერვიუ საქართველოს ინვალიდთა ფიზიკულტურულ-სპორტული ფედერაციის პრეზიდენტთან გიორგი ძნელაძესთან

● როდესაც თქვენი ფედერაცია დაფუძნდა, „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა თქვენი ინტერვიუ. მაშინ მკითხველს შევპირდით, რომ დროდადრო მივაწვდიდით ინფორმაციას ფედერაციის საქმიანობის შესახებ. სიტყვა არც გაგვიტეხია, მაგრამ იქნებ ახლა ერთად მოკუყაროთ ხათქმელს თავი და თქვენი ფედერაციის მუშაობაზე უფრო დაწვრილებითი ცნობები მივაწოდოთ მკითხველს?

— ეს ჩვენი სურვილიცაა, — თავს ვალდებულად ვთვლით საქართველოში მცხოვრებ ინვალიდებს და მთელ საზოგადოებას ვაცნობოთ ყოველივე, რაც გაგვიკეთებია ჩვენი საქმიანობის მოკლე პერიოდში.

როგორც იმ პირველ ინტერვიუში აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი იყო საქართველოში მცხოვრებ ინვალიდთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის რეაბილიტაცია, რისთვისაც საჭიროდ ვთვლიდით საზოგადოების ინფორმირებას. თქვენ ამბობთ, სიტყვა არ გაგვიტეხიაო, მართალი ბრძანდებით და მადლობაც მინდა გითხრათ, რადგან მხოლოდ „ლელოს“ საშუალებით ვახერხებდით ჩვენი „ძრავლისთვის“ ინფორმაციის მიწოდებას.

პირველი დიდი შეჯიბრება ჩვენი ფედერაციის დაფუძნებიდან ორი თვის შემდეგ მოვაწყეთ — საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში ინვალიდთა შორის. მოგეხსენებათ, ეს სახეობა, საგანგებო ტექნიკურ აღჭურვილობას არ მოითხოვს, ამიტომ, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების დახმარებით, ორ კვირაში შევძელით თავი დაგვედგა საქმისათვის, რომელმაც, არ ვაზვიადებ, ინვალიდთა გულში იმედის ნაპერწკალი გააღვივა.

● რამდენადაც ვიცით, ეს ღონისძიება ასე მოკლე პერიოდში იმიტომაც მოეწყო, რომ გამარჯვებული ხუთეული მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე — „მოსკოვურ დათებზე“ უნდა გამგზავრებულიყო.

— ჩვენმა სპორტსმენებმა მიიღეს კიდეც მონაწილეობა მკლავჭიდში ამ საკმაოდ პრესტიჟულ შეჯიბრებაში და არც ურიგოდ იასპარეზეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსკოვში საუკეთესო ხუთეული ვერ გაემგზავრა, რადგან ინფორმაცია დაგვიანებით მივიღეთ და რესპუბლიკურ პირველობაში გამარჯვებულებს თავი ვერ მოვუყარეთ. ეს არც პირველი შემთხვევაა და ალბათ არც უკანასკნელი. საერთოდ, საკავშირო კონფედერაცია არ თვლის თავს ვალდებულად, დროულად მოგვაწოდოს ინფორმაცია ამა თუ იმ ღონისძიების შესახებ, ცნობებს ძირითადად მეგობრების დახმარებით ვიღებთ, რაც იძულებულს გვხდის, ქაოსურად ვიმუშაოთ, ეს კი, მოგეხსენებათ, რამდენ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ასეა თუ ისე, მაინც მოვახერხეთ, ჩვენს ინვალიდებს მონაწილეობა მიეღოთ ლენინგრადის საერთაშორისო მარათონში, საკში — მძლეოსანთა შეჯიბრებაში, მოსკოვში გამართულ ავტორალიში. ამ შეჯიბრებებში ჩვენი წარმატების შესახებ „ლელოს“ მკითხველი საკმაოდ არის ინფორმირებული.

● თქვენი საქმიანობა მხოლოდ ტურნირებითა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობით შემოიფარგლება?

— რა თქმა უნდა, არა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მასთან საქართველოშიც ცხოვრობს კატეგორია ადამიანებისა, რომელთაც გონებრივი ჩამორჩენილობის სიმპტომი აქვთ. სწორედ მათთვის არის შექმნილი მსოფლიო ორგანიზაცია „სპეშიალ-ოლიმპიკი“, რომლის შტაბ-ბინაც ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ამ ორგანიზაციას თავისი ფილიალები აქვს ასზე მეტ ქვეყანაში. მისი წევრები არიან ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. გადავწყვიტეთ საფუძველი ჩაგვეყარა „სპეშიალ-ოლიმპიკის“ პირველადი ორგანიზაციის ჩამოყალიბებისათვის საქართველოშიც. სწორედ ამ მიზნით შევკრიბეთ ამგვარი დაავადებების მქონე ბავშვები და განათლების სამინისტროს დახმარებით დუშეთის რაიონში გავხსენით სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი. დღეს ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება ასეთ ბავშვებთან მუშაობისა და გვსურს გლდანის რაიონის სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატში შეიქმნას „სპეშიალ-ოლიმპიკის“ ცენტრალური ბაზა, რაზეც უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება სკოლის დირექტორთან და განათლების სამინისტროსთან.

● რა მიგაჩნიათ აუცილებელ პირობად, რომ ფიზიკური ნაკლის მქონეთა სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების საქმემ მეტი ადამიანი დაინტერესოს, რათა მხარში ამოგიდგნენ და ტვირთი შეგიმსუბუქონ?

— უპირველესად უნდა შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა ინვალიდთა ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის რეაბილიტაციისათვის, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული ორგანიზაციები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს გარკვეული თანხა ინვალიდთა სპორტის დანერგვისა და განვითარებისათვის, არსებული სპორტული ბაზებიდან ერთ-ერთი გადაეცეს ინვალიდთა სპორტულ ორგანიზაციას ცენტრალური სპორტული ბაზის შესაქმნელად. საჭიროა ქუჩები, გადასასვლელები და სხვა, ინვალიდთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კეთილმოეწყოს, გამოიყოს სპეციალური სატრანსპორტო საშუალება ამ კატეგორიის ადამიანთა ნორმალური მგზავრობისათვის. ეს ყოველივე აუცილებელია ჩვენი მიზნის მისაღწევად. არ უნდა დავივიწყოთ გაჭირვებულთა თანადგომა. მათთვის დახმარების ხელის გაწვდენა უზენაესის ნების აღსრულებაცაა, რადგან ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ. ღმერთი იყოს ჩვენი და თქვენი მფარველი ყოველ კეთილად წამოწყებულ საქმეში.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

„კამარამ“ კამარა ფეიქრებს

სპორტული კლუბი „კამარა“ ჯერ მხოლოდ არსებობის რამდენიმე დღეს ითვლის და მისმა წევრებმა უკვე პირველ, მეტად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ორხევში, კლუბის სპორტულ დარბაზში გამართულ საქართველოს მოფარიკავეთა პირველობაზე, რომელშიც 8 გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მოასპარეზენი 3 ასაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. საბოლოოდ, პირველობა არავის დაუთმო „კამარამ“ (მწვრთნელი — არჩილ აფციაური). მეორე ადგილზე განათლების სამინისტროს სპორტული სკოლის გუნდი გავიდა, მესამეზე — ქუთაისელი მოფარიკაკენი.

პირად პირველობაში, 1975-76 წლებში დაბადებულ მოფარიკავეთა შორის გათამაშებული 3 მედლიდან 2 განათლების სამინისტროს სპორტსკოლის აღსაზრდელებმა მოიპოვეს: „ოქრო“ — ირაკლი ღაღანიძემ, „ვერცხლი“ — ჯემალ გაბისონიამ. მესამე იყო კამარელი ნიკოლოზ ლეჟავა.

ირაკლი ჩიტიშვილმა, რომელიც განათლების სამინისტროს სპორტსკოლის სახელით გამოდიოდა, ორ ასაკობრივ ჯგუფში იასპარეზა. იგი საუკეთესო იყო 1973-74 წლებში დაბადებულთა შორის, მეორე-მესამე ადგილებზე კი გავიდნენ კახა გავაშელაშვილი (განათლების სამინისტროს სპორტსკოლა) და მამუკა კახიძე. უფროსი ასაკის (1971-72 წ. წ.) მოფარიკავეთა შორის ი. ჩიტიშვილმა „ბრინჯაო“ მოიგო; კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა გიორგი კვარაცხელიამ, მომდევნო საფეხური — მისმა თანაგუნდელმა ომარ ჯანიაშვილმა.

თამარ ლალაზაშვილი

• • •

სურათზე: საქართველოს პირველობაში გამარჯვებული სპორტკლუბ „კამარას“ მოფარიკავეთა გუნდი (მარცხნიდან) — ზურაბ დემეტრაშვილი, ომარ ჯანიაშვილი, მწვრთნელი არჩილ აფციაური, ნიკოლოზ ლეჟავა და გია კვარაცხელია.



საერთაშორისო სერტიფიკატები — საქართველოს წარმომადგენლებს

მოზაკოვი გამართულ კარატე-დო სიტოკაის მიმდევართა პირველ საერთაშორისო ტურნირში მიწვეული იყვნენ საქართველოს კარატეს ამ სახეობის (სიტორიუ) ფედერაციის წარმომადგენლებიც — თბილისელი, სოხუმელი და გალელი კარატისტები.

სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია იაპონელთა გუნდის გამოსვლამ, რომლის ღირსებას იცავდა მსოფლიოს ორი ჩემპიონი: აზია—წყნარი ოკეანის რეგიონისა და იაპონიის ღია ჩემპიონატების გამარჯვებულნი, ორივე 5 „დანის“ მფლობელი.

წარმატებით იასპარეზა სოხუმელმა ცეზარ მატარაძემ. მან „კუმიტეში“ ფინალამდე ყველა მეტოქე დაამარცხა, მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა დათმო იაპონიის ღია პირველობისა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან, აზიის ჩემპიონ ავაცურო ნობურუსთან და მეორე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი დიკავა თბილისელმა ჯონი ტაუდინოვმა.

ტურნირზე იაპონიის კარატე-დო სიტოკაის ფედერაციის წარმომადგენელმა სრულიად იაპონიის კარატეს ფედერაციის საერთაშორისო სერტიფიკატები გადასცა საქართველოს სპორტსმენებს, რომლებმაც ჯერ კიდევ აგვისტოში ჩაბარეს გამოცდები „შავი ქამრის“ მოსაპოვებლად.

სოხუმელ სპორტსმენს, საქართველოს კარატე-დო სიტოკაის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ ჯაფარიძეს მიენიჭა „მეორე დანი“. „პირველი დანი“ მიანიჭეს სოხუმელ შოთა შარტავას, გალელ ვახტანგ ზუხბაიას და თბილისელ ვადიმ გულბანს.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ საკ. კორ.
სოხუმი.

სასიამოვნოც, საწყენიც

თითქმის ყველა უძლიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა ამას წინათ გამართულ საქართველოს თასის გათამაშებასა და ჩემპიონატში მრავალჭიდსა და ჯგუფურ ვარჯიშში. შეჯიბრებები ჟიმართა სპორტის ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. მოასპარეზენი საკმაოდ დახვეწილი ვარჯიშებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

პირად პირველობაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისელმა სპორტის ოსტატმა ნატო ტატიშვილმა, რომელმაც ამ რანგის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების ნახევარფინალში ქულათა მაქსიმალური რაოდენობა დააგროვა და ნახევარ ქულით აჯობა ისეთ გამოცდილ სპორტსმენს, როგორიცაა მსოფლიო თასის შფლობელი ელისო ბედოშვილი. ეს უკანასკნელი, გაურკვეველი მიზეზების გამო, ფინალში არ გამოსულა და გამარჯვება ნ. ტატიშვილს დარჩა. ე. ბედოშვილი მეორე ადგილს დასჯერდა, ირინა ჟილიაევა — მესამეს.

სპორტის ოსტატობის კანდიდატების პროგრამით მოასპარეზეებში უძლიერესი იყო თბილისელი ქრისტინა ადამოვა, მეორე ადგილი დაიკავა ალიონა ივანოვამ, მესამე — ეკა აბრამოვამ (თბილისი).

ჯგუფურ ვარჯიშში ყველას აჯობეს თბილისელებმა. მეორე ადგილზე გავიდნენ რუსთაველი ტანმოვარჯიშეები, რომლებმაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბათუმელმა სპორტსმენებმა.

როგორც საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნინო სალუქვაძემ აღნიშნა, ტურნირის საერთო დონე საკმაოდ მაღალი იყო. ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ გვყავს პერსპექტიული ახალგაზრდები. თუმცა, საწყენია, რომ სოხუმის ნაკრებმა და რამდენიმე ძლიერმა თბილისელმა და რუსთაველმა სპორტსმენმა გაურკვეველი მიზეზების გამო მონაწილეობა არ მიიღეს შეჯიბრებაში.

დასასრულ შევნიშნავთ: ჩემპიონატის ორგანიზაცია არ იყო სრულყოფილი, რაც გამოვლინდა არაერთ ტექნიკურ ხარვეზში. ეს მომავალში უნდა გაითვალისწინონ ამ სახეობის ხელმძღვანელებმა — საქართველოს ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას მეტი ყურადღება და გულისხმიერება სჭირდება.

ნინო ფაფქვიაშვილი

წელი უკანასკნელი, წელი პირველი

ქართველ სპორტის მოყვარულებს ჯერაც თვალწინ უდგათ ჭაბუკ მოკრივეთა ცეცხლოვანი გამოსვლები IX ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა ექვსი ოქროს მედალი მოიპოვეს... ეს იყო 1990 წლის ერთგვარი შემაჯამებელი აკორდი, რომელიც საკმაოდ მაჟორულად გაისმა. დიახ, ქართველ ჭაბუკთათვის ეს წელი საკმაოდ „ბარაქიანი“ გამოდგა. თბილისის რინგზე წარმატებას წინ უძღოდა გამარჯვებები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, საიდანაც მათ შესაბამისად 4 და 2 ოქროს მედალი ჩამოიტანეს. აღარაფერს ვამბობთ იმ საკავშირო თუ სხვადასხვა მასშტაბის საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სადაც რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უმაღლესი სინჯის მედლები დაიმსახურეს. სწორედ ამ გამარჯვებებმა ათქმევინა სტუმრებს, რომ საქართველოში ჭაბუკთა კრივმა არნახულ წარმატებას მიაღწია, იგი ტალღისავით აზვირთდა და ვერაფერი შეაჩერებსო... მაგრამ, მოგეხსენებათ, მადა ჭამაში მოდის და, არა გვგონია, რომ სპორტის ქომაგებს მარტო ჭაბუკთა რინგზე წარმატებები აკმაყოფილებდეთ — ისინი, უთუოდ, უფრო შთამბეჭდავ, დიდ რინგზე მიღწეული გამარჯვების მოლოდინში არიან. მაგრამ ჭაბუკობიდან მოზრდილთა შორის გადასავლება ხშირად არცთუ უმტკივნეულოდ ხდება და დანაკარგებიც არ არის გამორიცხული. იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს და მოზარდებმა დიდ რინგზე თამამად შეაბიჯონ, იმედის მომცემ მოკრივეთაგან შეიქმნა ექსპერიმენტული გუნდი. აქ მრავალად არიან საქართველოს მოკრივეები, ისინი, რომელნიც წელს, ასაკის გამო, უკვე გამოემშვიდობნენ ჭაბუკთა ასპარეზობებში მონაწილეობის უფლებას. კერძოდ კი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი, მესტიელი რ. ფალიანი, ფოთელი პ. გვასალია, თბილისელი კ. ბარავი, ქუთაისელი ა. კაკაურიძე და სხვანი.

ახალი წლის დამდეგს ეს ჭაბუკები ჩაებმებიან საკავშირო პირველობაში, რომელიც ყაზანში გაიმართება. როგორც ამ ახალგაზრდული ჯგუფის უფროსმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ხრომოვმა განაცხადა, მოკრივეთა „შენარჩუნების“ მიზნით ისინი საკავშირო რინგზე მხოლოდ ორ-ორ ბრძოლას ჩაატარებენ, შემდეგ, მიღწეული შედეგების მიუხედავად, მიატოვებენ ჩემპიონატს და საზღვარგარეთ გაემგზავრებიან ტურნირში საასპარეზოდ. ეს კარგი ფსიქოლოგიური განტვირთვა იქნება, რაც მათ ფიზიკურ ძალებსაც შეუნარჩუნებს, ვინაიდან ამთავითვე მთელ ენერგიას ბოლომდე არ გხარჯავენ მოზრდილებთან ბრძოლებში და თანდათანობით შეეჩვევიან დიდ სარბიელს.

ჭაბუკობის უკანასკნელი წელი ჩვენი მოკრივეებისათვის ხელზვავიანი გამოდგა, ვნახოთ, როგორი იქნება პირველი წელი დიდ რინგზე გამოსვლისა.

უშანგ ჯიბინაძე

სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული ლატარიები-91

მაქსიმალური მოგებები გაიზარდა:

„5 36“-დან 20 000 მანეთამდე; „სპრინტი“ 25 000 მანეთამდე; ლატარიებში „6 45“-დან და „სპორტპროგნოზი“ მოგება განუსაზღვრელია. ლატარიაში „სპორტლოტო 6 45“-დან მინიმალური მოგება 4 ნომრის გამოცნობისთვის 50 მანეთია.

სპორტული ლატარიები უკვე 21-ე წელიწადია ტარდება. ამ ხნის განმავლობაში ისინი განიცდიდნენ სახეცვლილებასა და სრულყოფას. 1991 წლიდან, ლატარიების გათამაშების დებულებაში შეტანილია გარკვეული ცვლილებები, რომლებიც ეხება როგორც ბილეთების ფასს, ასევე მოსაგებ თანხებსაც, ყველაფერი ეს გამოწვეულია. უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით.

„სპორტლოტო 5 36“-დან ლატარიის ბილეთის ფასი უცვლელად რჩება, ე. ი. 30 კაპიკი ერთ ვარიანტზე, 60 კაპიკი ერთი ბილეთი. 10-ტირაჟიანი ბილეთის ფასი კვლავ 6 მანეთია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დროის მოთხოვნის თანახმად, ერთ სათამაშო ვარიანტზე მაქსიმალური მოგება 10 000 მანეთიდან გაიზარდა 20 000 მანეთამდე. მინიმალური მოგება 3 მანეთია.

ლატარია „სპორტლოტო 6 45“-დან ამიერიდან მხოლოდ იმ მოთამაშეებისათვისაა განსაზღვრული, ვისაც აინტერესებს უფრო იშვიათი, მაგრამ დიდი მოგება. სწორედ ამიტომ, ამ ლატარიაში დარჩა მოგებათა მხოლოდ სამი ჯგუფი — 6, 5 და 4 ნომრის გამოცნობისთვის.

მინიმალური გარანტირებული მოგება ერთ სათამაშო ვარიანტზე გაიზარდა 50 მანეთამდე. მაქსიმალური მოგება ამიერიდან განუსაზღვრელია.

„6 45“-დან ლატარიის ერთი სათამაშო ვარიანტის ღირებულება ამიერიდან 50 კაპიკია, ლატარიის ბილეთისა კი — 1 მანეთი. ათტირაჟიანი ბილეთის ფასია 10 მანეთი.

ლატარია „სპორტპროგნოზში“ აგრეთვე აღარ არსებობს მაქსიმალური მოგების განსაზღვრული თანხა. ერთ სათამაშო ვარიანტზე და იგი შეიძლება იყოს 10 000 მანეთზე მეტი. ბილეთის შეძენის ანგარიშსწორების გაიოლების მიზნით, ამიერიდან, სამვარიანტიანი ბილეთი ეღირება 1 მანეთი, ექვსვარიანტიანი — 2 მანეთი.

ლატარია „სპრინტში“ უკვე არსებული 50-კაპიკიანი და 1-მანეთიანი ბილეთების გარდა დაიწყო 3 და 5 მანეთად ღირებული ბილეთების გამოშვება. ახალ სერიებში შესაბამისად გაიზარდა გასათამაშებელი ავტომანქანების („ვოლგა“, „ჟიგული“, „ზაპოროჟეცი“) რიცხვი. მაქსიმალური მოსაგები თანხა გაიზარდა 25000 მანეთამდე.

„სპორტლოტო 6 45“-დან და „სპორტპროგნოზის“ ახალი ბილეთები ჯერჯერობით დამზადების პროცესშია და ისინი მალე გამოჩნდება გაყიდვაში. მანამდე კი ინვენტარიზაციისა და გადაფასების შემდეგ, 1991 წლის 1 იანვრიდან, ახალ ფასებში გაიყიდება ძველი ბილეთები, რომლებზეც ადრინდელი ფასებია მინიშნებული.

იმედია, ზემოჩამოთვლილი სიახლეები გამოხმაურებას ჰპოვებს სპორტული ლატარიების მოყვარულთა შორის და მრავალ ახალ გულშემატკივარსაც გაუჩენს მას.

სპორტული ლატარიები თქვენი პირადი შანსია საბაზრო ეკონომიკაში.

გისურვებთ წარმატებას!

„საქსპორტლოტო“

ინსტრუქციაში შეტანილია ცვლილებები

ლატარია „სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა მრავალრიცხოვანი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც გამოთქმული იყო ანკეტირების გზით და სხვა ქვეყნებში მსგავსი ლატარიების ჩატარების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიღებული გადაწყვეტილებით, 1990 წლის 45-ე ტირაჟიდან დაწყებული სპორტული ლატარიების გამართვის ინსტრუქციის, რომელიც გამოქვეყნდა 1989 წლის 30 აგვისტოს, ორი პუნქტის რედაქციაში შეტანილია ცვლილებები.

გთავაზობთ პუნქტების ახალ რედაქციას:

„3. 14. ლატარია „სპორტპროგნოზის“ ტირაჟის პროგრამის დამტკიცებასთან ერთად „სპორტპროგნოზის“ საკავშირო საბჭო ატარებს იმ შეხვედრების შედეგების წილისყრას, რომელიც შეტანილია 13 წყვილი გუნდის პროგრამაში და ამისათვის ლოტოტრონში ათავსებს ბურთულების ერთნაირ რაოდენობას (7+7+7). წილისყრის შედეგები ქვეყნდება ტირაჟის პროგრამასთან ერთად.

წილისყრის შედეგები პროგრამაში შეტანილი შეხვედრების შედეგების განსაზღვრისას, ძალაში შედის იმ შემთხვევაში, თუ თამაში არ შედგა, არ დასრულდა, შეწყდა, გაუქმდა ან გადატანილი იქნა რამდენიმე დღით მიზეზების ხასიათის მიუხედავად, აგრეთვე, თუ შეიცვალა შეხვედრის ჩატარების ადგილი, ნეიტრალური მოედნის ჩათვლით.

შეხვედრის ჩატარების ადგილად ითვლება ქალაქი და არა სტადიონი.

ტირაჟის პროგრამაში მინიშნებული გუნდების განლაგება წყვილებში ყოველგვარ შემთხვევაში უცვლელი რჩება.

ცალკეული შეხვედრების ჩატარების დროის გადატანისას, მოცემული ტირაჟის ჩატარების ვადების ფარგლებში თამაში ითვლება ჩატარებულად და მისი შედეგი შედის ტირაჟის შედეგებში.

3. 15. ლატარია „სპორტპროგნოზის“ ტირაჟის პროგრამაში შეტანილი შეხვედრების შედეგების განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ძირითად დროში ნაჩვენები შედეგები“.

„სპორტლოტო“ გაცნობებთ

ფონდების უქონლობის გამო 1991 წლიდან აღარ გაიცემა ტალონები „ჟიგული“ ვაზ-21063 მარკის ავტომანქანების ურიგოდ შესაძენად.

რესპუბლიკური კონკურსი სპორტული ლატარიების მოყვარულთა შორის, რომლის მიხედვითაც 10000 მანეთზე ნაკლები მოგების შემთხვევაშიც, მოთამაშეს ეძლეოდა ავტომანქანის ურიგოდ შეძენის უფლება, დასრულდა.

ამასთან, ძალაში რჩება ყველა შეღავათები ავტომანქანების ურიგოდ შეძენაზე, რომლებიც მოქმედებდნენ 1990 წელს ლატარია „სპორტპროგნოზსა“ და „სპორტლოტოში“ მაქსიმალური მოგებების მფლობელთათვის (ათტირაჟიანი ბილეთების ჩათვლით).

ასე რომ, საკავშირო სპორტული ლატარიის ბილეთის საშუალებით, თქვენ ინარჩუნებთ შანსს, ურიგოდ შეიძინოთ „ჟიგული“ ვაზ-2109 და თუ ბედი გაგიღიმებთ, — „ვოლგა“, გაზ-24.

1990 წლის გასული ტირაჟები

„6 45“-დან:	„5 36“-დან:
1. 41, 22, 36, 39, 17, 35	8, 36, 2, 5, 1
2. 40, 29, 11, 8, 30, 32	20, 30, 23, 15, 10
3. 17, 16, 21, 28, 42, 24	7, 6, 22, 13, 19
4. 12, 26, 38, 10, 45, 17	1, 28, 2, 32, 25
5. 23, 40, 4, 25, 8, 9	27, 5, 3, 1, 8
6. 9, 1, 40, 21, 6, 10	2, 8, 13, 34, 6
7. 18, 14, 6, 2, 19, 16	14, 22, 36, 8, 9
8. 29, 42, 32, 4, 39, 19	11, 10, 19, 29, 17
9. 43, 32, 38, 26, 37, 35	27, 34, 17, 8, 29
10. 37, 27, 32, 8, 1, 4	15, 2, 7, 17, 9
11. 13, 23, 37, 26, 18, 17	28, 19, 24, 25, 22
12. 9, 39, 34, 5, 29, 45	31, 22, 8, 33, 9
13. 45, 9, 30, 14, 5, 26	3, 32, 2, 6, 11
14. 32, 8, 43, 2, 37, 45	30, 23, 26, 19, 11
15. 11, 7, 5, 34, 21, 4	7, 28, 31, 23, 24
16. 44, 14, 31, 36, 10, 30	32, 16, 9, 6, 20
17. 15, 31, 21, 22, 44, 25	16, 12, 5, 3, 30
18. 22, 44, 19, 23, 30, 29	29, 13, 17, 12, 22
19. 2, 14, 12, 26, 36, 39	26, 4, 2, 34, 33
20. 32, 37, 24, 19, 35, 28	13, 15, 34, 28, 1
21. 16, 10, 29, 9, 42, 25	6, 30, 10, 17, 36
22. 35, 25, 41, 31, 33, 27	13, 15, 17, 36, 28
23. 22, 4, 38, 31, 21, 20	34, 19, 16, 36, 10
24. 24, 16, 8, 9, 30, 40	4, 5, 14, 28, 27
25. 10, 28, 9, 1, 37, 21	6, 19, 1, 10, 33
26. 1, 13, 36, 2, 3, 15	1, 28, 8, 35, 19
27. 7, 24, 33, 28, 43, 41	33, 3, 15, 7, 24
28. 36, 45, 31, 13, 15, 9	19, 9, 17, 8, 35
29. 18, 19, 32, 26, 10, 29	9, 33, 7, 28, 4
30. 8, 14, 29, 40, 7, 32	4, 19, 31, 5, 28
31. 9, 17, 25, 44, 33, 18	4, 7, 17, 3, 22
32. 8, 44, 40, 13, 30, 39	5, 35, 18, 21, 28
33. 16, 8, 15, 5, 18, 42	33, 11, 28, 3, 23
34. 14, 21, 3, 28, 8, 16	1, 7, 25, 10, 22
35. 18, 8, 37, 42, 3, 33	9, 13, 3, 14, 11
36. 5, 34, 33, 37, 42, 41	32, 33, 8, 22, 10
37. 6, 31, 24, 17, 11, 13	12, 10, 36, 9, 13
38. 25, 39, 13, 17, 10, 9	30, 32, 26, 12, 20
39. 45, 10, 33, 8, 14, 34	32, 8, 14, 35, 17
40. 41, 31, 6, 4, 15, 44	29, 2, 25, 27, 13
41. 17, 20, 5, 42, 15, 30	26, 9, 4, 20, 22
42. 3, 13, 15, 4, 1, 38	7, 14, 20, 6, 21
43. 32, 19, 8, 6, 20, 28	33, 2, 25, 5, 10
44. 11, 20, 17, 22, 6, 33	6, 31, 14, 17, 8
45. 2, 5, 40, 16, 30, 23	22, 31, 21, 35, 17
46. 44, 20, 13, 43, 12, 16	36, 31, 27, 12, 35
47. 17, 18, 38, 30, 45, 15	34, 12, 27, 25, 13,
48. 3, 23, 37, 41, 7, 12	35, 5, 31, 21, 30
49. 16, 24, 34, 39, 41, 43	7, 17, 23, 34, 35
50. 11, 19, 24, 30, 32, 44	18, 19, 20, 30, 35
51. 10, 11, 14, 30, 37, 44	3, 4, 12, 17, 31

1991 წლის ტირაჟების ნომრები და ჩატარების თარიღები

1 ტირაჟი — 6 იანვარი
2 ტირაჟი — 13 იანვარი
3 ტირაჟი — 20 იანვარი
4. ტირაჟი — 27 იანვარი
5 ტირაჟი — 3 თებერვალი
6 ტირაჟი — 10 თებერვალი
7 ტირაჟი — 17 თებერვალი
8 ტირაჟი — 24 თებერვალი
9 ტირაჟი — 3 მარტი
10 ტირაჟი — 10 მარტი
11 ტირაჟი — 17 მარტი
12 ტირაჟი — 24 მარტი
13 ტირაჟი — 31 მარტი
14 ტირაჟი — 7 აპრილი
15 ტირაჟი — 14 აპრილი
16 ტირაჟი — 21 აპრილი
17 ტირაჟი — 28 აპრილი
18 ტირაჟი — 5 მაისი
19 ტირაჟი — 12 მაისი
20 ტირაჟი — 19 მაისი
21 ტირაჟი — 26 მაისი
22 ტირაჟი — 2 ივნისი
23 ტირაჟი — 9 ივნისი
24 ტირაჟი — 16 ივნისი
25 ტირაჟი — 23 ივნისი
26 ტირაჟი — 30 ივნისი
27 ტირაჟი — 7 ივლისი
28 ტირაჟი — 14 ივლისი
29 ტირაჟი — 21 ივლისი
30 ტირაჟი — 28 ივლისი
31 ტირაჟი — 4 აგვისტო
32 ტირაჟი — 11 აგვისტო
33 ტირაჟი — 18 აგვისტო
34 ტირაჟი — 25 აგვისტო
35 ტირაჟი — 1 სექტემბერი
36 ტირაჟი — 8 სექტემბერი
37 ტირაჟი — 15 სექტემბერი
38 ტირაჟი — 22 სექტემბერი
39 ტირაჟი — 29 სექტემბერი
40 ტირაჟი — 6 ოქტომბერი
41 ტირაჟი — 13 ოქტომბერი
42 ტირაჟი — 20 ოქტომბერი
43 ტირაჟი — 27 ოქტომბერი
44 ტირაჟი — 3 ნოემბერი
45 ტირაჟი — 10 ნოემბერი
46 ტირაჟი — 17 ნოემბერი
47 ტირაჟი — 24 ნოემბერი
48 ტირაჟი — 1 დეკემბერი
49 ტირაჟი — 8 დეკემბერი
50 ტირაჟი — 15 დეკემბერი
51 ტირაჟი — 22 დეკემბერი
52 ტირაჟი — 29 დეკემბერი

მაგ ასე:

მაქსიმალური მოგება 10 000 მანეთიდან გაიზარდა 20 000 მანეთამდე.

მზად ვართ, გემსახუროთ!

ჩვენი მისამართი: 380019, თბილისი-19, ელიავას ქ. № 26
ტელეფონები: 34-20-00, 34-54-29

სპორტული ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური საწარმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოთარ მათეუსი და მარლინ ოტეი

„ინტერნაციონალ შპორტ კორესპონდენციის“ უოველწლიური ანკეტა

ცნობილმა საგენტომ „ინტერნაციონალ შპორტ კორესპონდენცმა“ (გერმანია, ქ. შტუტგარტი) უკვე 44-ჯერ ჩაატარა თავისი ყოველწლიური გამოკითხვა: „დაგვიახელეთ წლის № 1 სპორტსმენი ვაჟი და ქალი“.

აი, ვინ გაიმარჯვა „ი. შ. კ“-ის ადრინდელ კონკურსებში: 1947 წ. — ალექს ენნი (საფრანგეთი), 1948 — ბლანკერს-კოენი (ჰოლანდია), 1949 — ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია), 1950—მათიასი (აშშ), 1951 — ზატოპეკი, 1952 — ზატოპეკი, 1953 — კოპი (იტალია), 1954 — ბანისტერი (ინგლისი), 1955 — იჰაროში (უნგრეთი), 1956 — კუცი (საბჭოთა კავშირი), 1957 — კუცი, 1958 — ელიოტი (ავსტრალია), 1959 კუზნეცოვი (საბჭოთა კავშირი), 1960 — რუდოლფი (აშშ), 1961 — ბრუმელი (საბჭოთა კავშირი), 1962 — ბრუმელი, 1963 — ბრუმელი, 1964 — შოლენდერი (აშშ), 1965 — კლარკი (ავსტრალია), 1966 — რაიანი (აშშ), 1967 — რაიანი.

თუ 1968 წლამდე მხოლოდ თითო სპორტსმენს ასახელებდნენ, ამ წლიდან არჩევდნენ საუკეთესო სპორტსმენ ვაჟს და ქალს.

1968 — ბიმონი (აშშ), ჩესლავსკა (ჩეხოსლოვაკია), 1969 — მერქსი (ბელგია), ვესტერმანი (აშშ), 1970 — პელე (ბრაზილია), ჩი ჩენგი (ტაივანი), 1971 — მერქსი, გოულდი (ავსტრალია), 1973 — სტიუარტი (ინგლისი), ენდერი (გდრ) 1974 — მერქსი, შვეინსკა (პოლონეთი), 1975 — მუჰამედ ალი (აშშ), ენდერი, 1976 — ხუანტორენა (კუბა), კომანეჩი (რუმინეთი), 1977 — ლაუდა (ავსტრია), აკერმანი (გდრ), 1978 — რონო (აშშ), გოულკინსი (აშშ), 1979 — კოე (ინგლისი), კოხი (გდრ), 1980 — ბორგი (შვეცია), კაზანკინა (საბჭოთა კავშირი), 1981 — კოე, ეშფორდი (აშშ), 1982 — ტომპსონი (ინგლისი), კოხი, 1983 — ლუისი (აშშ), ნავრატილოვა (აშშ), 1984 — ლუისი, ნავრატილოვა, 1985 — ბუბკა (საბჭოთა კავშირი), კოხი, 1986 — მარადონა (არგენტინა), დრექსლერი (გდრ), 1987 — ჯონსონი (კანადა), ჯოინერი (აშშ), 1988 ბიონდი (აშშ), გრიფიტი (აშშ), 1989 — ლემონდი (აშშ), გრაფი (გფრ).

ახლა კი ვნახოთ, ვინ ირჩიეს 1990 წლისათვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებმა.

„ალ აჰრამი“ (ქაირო, ეგვიპტე) — სენა (ბრაზილია), ნავრატილოვა (აშშ).

„სპორტი პოპულორი“ (ტირანა, ალბანეთი), — მათეუსი (გერმანია), გრაფი (გერმანია).

„აკბარ ალ კალეი“ (ბაჰრეინი) — მათეუსი, ოტეი (იამაიკა).

„ლე დერნიერ ოვრი“ (ბრიუსელი, ბელგია) — მათეუსი, ოტეი,

„დეპორტივო“ (ლა პასი, ბოლივია) — ბარელი (აშშ), მოტა (პორტუგალია).

„ჩესკოსლოვენსკი სპორტი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია), — მათეუსი, ოტეი.

„ბტ“ (კოპენჰაგენი, დანია) — მათეუსი, ოტეი.

„კიკერ შპორტმეგეზინი“ (ნიურნბერგი, გერმანია) — ედბერგი (შვეცია), კრაბე (გერმანია).

„ბუფვუდს ტადბლადეტი“ (ჰელსინკი, ფინეთი) — მათეუსი, მოტა.

„ეკიპი“ (პარიზი, საფრანგეთი) — ფრანგი მორბენლები 4X100 მეტრზე, ოტეი.

„პიპლ დეილი გრაფიკი“ (აკრა, განა) — მილა (კამერუნი), ოტეი.

„გრენადიენ ვოიხი“ (სენტ-ჯორჯი, გრენადა) — ბარელი, ოტეი.

„ავრო ფერნზეჰენი“ (ჰილვერსუმი, ჰოლანდია), — ბუგნო (იტალია), ნავრატილოვა.

„ხუარა ჰემბარუანი“ (ჯაკარტა, ინდონეზია) — მათეუსი, გრაფი.

„მორგენბლადიდი“ (რეიკიავიკი, ისლანდია) — ფალდო (ინგლისი), კრაბე.

„მაარივი“ (თელ-ავივი, ისრაელი) — მონტანა (აშშ), მოტა.

„კორიერე დელო სპორტი“ (რომი, იტალია) — სკილაჩი (იტალია), კრაბე.

„სპორტსკე ნოვოსტი“ (ზაგრები, იუგოსლავია) — მათეუსი, ოტეი.

„დეილი სპორტსი“ (სეული, სამხრეთ კორეა) — ბარელი, მოტა.

„ფოლკბლატი“ (ზაანი, ლიჰტენშტაინი) — ედბერგი, კრაბე.

„ტაგესბლატი“ (ეში, ლუქსემბურგი) — ბარელი, ბოგინსკაია (საბჭოთა კავშირი).

„დეილი ტაიმსი“ (ბლანტირი, მალავი) — ედბერგი, გრაფი.

„დიარიო ეჭხელსიორი“ (მეხიკო, მექსიკა) — მათეუსი, მოტა.

„ნიუ ზილანდ ჰერალდი“ (ოკლენდი, ახალი ზელანდია) — ედბერგი, კრაბე.

„ბელფასტ ტელეგრაფი“ (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) — ფალდო, გრაფი.

„აფტენპოსტენი“ (ოსლო, ნორვეგია) — ფალდო, ოტეი.

„ობეროსტერრაიხ ნახრიხტენი“ (ლინეცი, ავსტრია), — მილა, ოტეი.

„პშეგლონდ სპორტოვი“ (ვარშავა, პოლონეთი) — სენა, გრაფი.

„ა ბოლა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — ანტიბო (იტალია), გრაფი.

„გაზეტა სპორტულირორი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — სკილაჩი, ოტეი.

„ხკოტსმენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — ანტიბო, კრაბე.

„ხვენსკა დაგბლადეტი“ (სტოკჰოლმი, შვეცია) — ბაკლი, ოტეი.

„შპორტი“ (ციურიხი, შვეიცარია) — მილა, ოტეი.

„ლე ხოლეილი“ (დაკარი, სენეგალი) — მათეუსი, ოტეი.

„პროგრესი“ (ფრიტაუნი, სიერა ლეონე) — სკილაჩი, გრაფი.

„ელ მონდო დეპორტივო“ (ბარსელონა, ესპანეთი) — ბარელი, კრაბე.

„ტერკუმანი“ (სტამბოლი, თურქეთი) — პროსტი (საფრანგეთი), გრაფი.

„ხოვეტსკი სპორტი“ (მოსკოვი, საბჭოთა კავშირი) — ედბერგი, ბოგინსკაია,

„ნიუ ვიზიონი“ (კამპალა, უგანდა) — მილა, ოტეი.

„ნემსეტ სპორტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — ედბერგი, გრაფი.

„ელ პაისო“ (მონტევიდეო, ურუგვაი) — ედბერგი, გრაფი. —

„სტარზ ენდ სტრაიპსი“ (ვაშინგტონი, აშშ) — მილა, ნავრატილოვა.

„კიპრუს ნიუ აგენსი“ (ნიკოზია, კვიპროსი) — მილა, ბოგინსკაია.

ანკეტის საბოლოო შედეგები:

ვაჟები: 1. **ლოთარ მათეუსი** (გერმანია, ფეხბურთელი) — 106 ქულა, 2. **სტეფან ედბერგი** (შვეცია, ჩოგბურთელი) — 82 ქულა, 3. **ლერუა ბარელი** (აშშ, მძლეოსანი) — 70 ქულა, 4. **როჟე მილა** (კამერუნი, ფეხბურთელი) — 62, 5. **აირტონ სენა** (ბრაზილია, ავტომრბოლი) — 50, 6. **ჯანი ბუგნო** (იტალია), ველოსიპედბოლი) — 37, 7. **სალვატორე ანტიბო** (იტალია, მძლეოსანი) — 37, 8. **ნიკ ფალდო** (ინგლისი, გოლფი) — 36, 9. **მაიკლ ჯორდანი** (აშშ, კალათბურთელი) — 23, 10. **სტივ ბაკლი** (ინგლისი, მძლეოსანი) — 22 ქულა და ა. შ.

ქალები: 1. **მარლენ ოტეი** (იამაიკა, მძლეოსანი) — 125 ქულა, 2. **შტეფი გრაფი** (გერმანია, ჩოგბურთელი) — 110, 3. **კატრინ კრაბე** (გერმანია, მძლეოსანი) — 92, 4. **მარტინა ნავრატილოვა** (აშშ, ჩოგბურთელი) — 74, 5. **როზა მოტა** (პორტუგალია, მძლეოსანი) — 70, 6. **სვეტლანა ბოგინსკაია** (საბჭოთა კავშირი, ტანმოვარჯიშე) — 58, 7. **ჰენლი ლუისი** (ავსტრალია, მოცურავე) — 33, 8. **პეტრა კრონბერგერი** (ავსტრია, სამთო მოთხილამურე) — 21 და ა. შ.

მოამზადა **ბიბი თორელმა.**

კარგად „ოლაშვრეს“

ჩვენმა მოჭიდავეებმა კვლავ ისახელეს თავი. — ახლახან ლუცკი მასპინძლობდა პროფკავშირების საკავშირო პირველობას ძიუდოში (1974-1975 წლებში დაბადებულებს შორის), სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმაც იისპარეზეს.

პირველი ადგილები დაიკავეს: 53 კგ წონით კატეგორიაში — ქუთაისელმა ა. წიქორიძემ, 75 კგ — ლ. პეტრიაშვილმა (გორი), 83 კგ — ვ. არაბულმა (თბილისი), 90 კგ — ა. მეშველიანმა (ახმეტა), გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ ვანო არაბულზე და აი, რატომ: ეს ჭაბუკი მოჭიდავე ძირითადად სამბოში გამოდის, ზაფხულში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩემპიონის წოდებაც მოიპოვა ამ სახეობაში, ახლა კი ძიუდოში სცადა ბედი და, როგორც ხედავთ, არც თუ ურიგოდ.

მეორე ადგილზე გავიდნენ: ბ. ბედიანაშვილი (53 კგ, გარდაბანი), რ. ჩოჩიშვილი — 83 კგ, ი. ახალბედაშვილი — 90 კგ, ს. პაპიძე — 90 კგ (სამივე — გორი). მესამე ადგილები მოიპოვეს: კ. კოტორაშვილმა (53 კგ, ახმეტა) და მ. ონიანმა (68 კგ, ლენტეხი).

საპრიზო ადგილებზე გასული ეს მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობაში, რომელიც თებერვალში გაიმართება.

იმავე დღეებში კი ლვოვმა უმასპინძლა არმიელ ძიუდოისტთა საკავშირო პირველობას (1973-1974 წლებში დაბადებულთა შორის), სადაც ბრწყინვალედ იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა და გუნდურ პირველ ადგილზე გავიდა.

უძლიერესთა წოდება მოიპოვეს: ო. დადეშქელიანმა (62 კგ), გ. კავსაძემ (68 კგ), გ. ხუციშვილმა (75 კგ), ზ. ალიევმა (90 კგ). მ. ხარებაშვილი (83 კგ) და გ. ბესთაევი (62 კგ) მეორე ადგილებზე გავიდნენ, ხოლო ზ. ზირაქიშვილი (49 კგ), გ. უმიკაშვილი (62 კგ), მ. ჯანანაშვილი (72 კგ), ტ. ციმაკურიძე (83 კგ) და ა. ლომიძე (მძიმე) — მესამეზე.

კემპტონპარკის ძველი სტიპლჩეისი

დიდი ბრიტანეთის ცხენოსნობის რეკორდების წიგნში შევა ცხენი დეზერტ ორჩიდი. მან ოთხჯერ ზედიზედ მოიგო კემპტონპარკის სტიპლჩეისი, რომელშიც თამაშდება „მეფე გიორგი VI“-ს სახელობის პრესტიჟული პრიზი. ასეთი წარმატება ჯერ არც ერთ ცხენს არ მოუპოვებია. მარშან, დეზერტ ორჩიდი ეროვნულ მიღწევას იყოფდა ამ ქვეყნის იპოდრომებზე უდიდეს შეჯიბრებაზე (3 გამარჯვება ზედიზედ) ვეირვარდ ლედთან.

„დესიზე“ (ასე ეძახიან მოფერებით დეზერტ ორჩიდს) გამოდიოდა ოოკეი რიჩარდ დანვუდი. ამ დუეტმა 3-მილიან მანძილზე (4,8 კმ) წინაღობებით ბევრად გაუსწრო რვავე კონკურენტს.

მარინე კარგიშვილი

ის სიცოცხლით ხარობდა. ხარობდა ოჯახით, ახლობლებით, მეგობრებით, სპორტით, რომელსაც თავის ხანმოკლე სიცოცხლის რამდენიმე წელი შეახარა. მარინე კარგიშვილი, ჩვენი მარინე! უაღრესად კეთილი და ალერსიანი, გამორჩეული ბუნებისა და ხილამაზის ქალიშვილი, ხათნოების განსახიერება..

სპორტი, კერძოდ, მძლეოსნობა მისი ბავშვობისდროინდელი გატაცება იყო, მოსწავლეთა არაერთ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში უსახელებია თავი, ჩემპიონიც იყო, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი რომ გახდა, მაშინაც არ შეუწყვეტია ვარჯიში, გრძნობდა, სპორტი მისთვის მხოლოდ გატაცება არ იყო, სიცოცხლის ხალისით იყო აღსავსე და სპორტში თვითგამოხატვას ჰპოვებდა. იქნებ იმიტომაც ეხწრაფვოდა სპორტს ასე თავგამოდებით, რომ ხანმოკლე სიცოცხლე ეწერა. ძნელია ასეთი თანაგუნდელის, თანაკლასელის, თანაკურსელის, თანატოლის დაკარგვა, ძნელია იმ სულიერი ტკივილის გადატანა, რომელიც მარინემ ამ ქვეყნიდან წასვლით დაგვიტოვა ჩვენ ყველას. რა მოუშუშებს ამ ჭრილობას მის ოჯახს, ერთადერთი შვილის მშობლებს. ისღა დაგვრჩენია თავი იმით ვინუგეშოთ, რომ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მარინემ მაინც დატოვა კეთილი სახელი, მისი ცხოვრება ხომ მხოლოდ ხიკეთის განსახიერება იყო.

მშვიდობით, მარინე!

მეგობრები

ევროპის დაასახელეს ქალაქები

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა დაასახელა ქალაქები, სადაც უნდა გაიმართოს 1990-91 წლების ევროპის საკლუბო თასების გათამაშებათა ფინალური შეხვედრები.

თასების მფლობელთა თასის ფინალი 15 მაისს გაიმართება როტერდამში (ჰოლანდია),

ჩემპიონთა თასის ფინალი 29 მაისს შედგება ბერნში (შვეიცარია).

უეფა-ს თასის ფინალური მატჩები, ტრადიციისამებრ, შედგება ფინალში გასული ორივე გუნდის მინდვრებზე.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

ქაღალდის უქონლობის გამო „ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 6 იანვარს.

პროფკავშირების საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საზოგადოების გარდაბნის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი

ზოთა სოსოს ძე ვიბლიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტსახკომის თანამშრომლები და კეტბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებენ თამაზ ესართიას მამის

ადამი ივლონის ძე ესართიას

გარდაცვალების გამო.

NBA

ახალშოგილ მარკუს-ჯეიმს ციუძღვნა

ნბა-ს ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ 1990 წლის ბოლო კვირის შედეგების მიხედვით დასახელებულია „ჩიკაგო ბულსის“ ლიდერი მაიკლ ჯორდანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ლიგის ახლანდელ ჩემპიონთან „დეტროიტ პისტონთან“ გამარჯვებაში — 98:86.ამ შესანიშნავმა კალათბურთელმა თავის გუნდს 37 ქულა შესძინა, თანაც რვაჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს.

ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ერთი დღით ადრე ჯორდანს შეეძინა მეორე ვაჟიშვილი, რომელსაც მარკუს-ჯეიმი დაარქვეს. და ეს გამარჯვება ბედნიერმა მამამ ახალშობილ ვაჟს მიუძღვნა.

არადა, გასული კვირის საუკეთესო მატჩად მიმომხილველებმა „ჩიკაგოსა“ და „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ კალათბურთელთა შეხვედრა მიიჩნიეს, რომელშიც წარმატება ასევე ჯორდანის გუნდს ხვდა — 114:103. ამ მატჩში ჩიკაგოელთა ლიდერმა 33 ქულა მოაგროვა. იგი, ამავე დროს, საუკეთესო იყო ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლებაში (15) და შედეგად გადაცემებში (9).

ჩემპიონატის ბოლო ხუთი შეხვედრიდან ჩიკაგოელმა კალათბურთელებმა ოთხი მოიგეს. მაიკლ ჯორდანის საშუალო შედეგი 34,2 ქულაა. ამ გამარჯვებების შემდეგ „ჩიკაგო ბულსმა“ გათამაშების ცხრილში (ცენტრალური დივიზიონი) მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ხოლო „დეტროიტი“, რომელიც ერთანს ლიდერობდა ჩემპიონატს, ცხრა დამარცხების შემდეგ (ბოლო თორმეტ შეხვედრაში) მესამე ადგილამდე დაეშვა. ამ წარუმატებლობის სპეციალისტები ლიდერთა სამეულის (აიზია თომასი, ჯო დიუმარსი და ვინი ჯონსონი) სუსტი თამაშით ხსნიან. მათი აზრით, ზემოაღნიშნული ტრიო გაცილებით მეტი პასუხისმგებლობით და ეფექტით ატარებს „პლეი ოფს“ შეხვედრებს, ვიდრე ჯგუფური ტურნირების მატჩებს.

გთავაზობთ ნბა-ს ჩემპიონატის ლიდერთა სამეულებს:

აღმოსავლეთის კონფერენცია
ატლანტის დივიზიონი

	მ.	წ.	%
„ბოსტონ სელტიკსი“	23	4	852
„ფილადელფია-76“	19	8	704
„ნიუ-იორკ ნიკსი“	12	14	462

ცენტრალური დივიზიონი

„მილუოკი ბაკსი“	19	8	704
„ჩიკაგო ბულსი“	18	9	667
„დეტროიტ პისტონსი“	17	11	607

დასავლეთის კონფერენცია
შუა-დასავლეთის დივიზიონი

„სან-ანტონიო სპერსი“	18	6	750
„იუტა ჯაზი“	17	10	630
„ჰიუსტონ როკეტსი“	15	12	556

წყნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი“	25	3	893
„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“	16	9	640
„ფენიკს სანზი“	16	9	640

„ლელოს“ ფურცლებზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები ც. ჩიტიშვილი და მ. ძეძამიძე.

ნომერზე მუშაობდნენ:
წარმოდგენილია — 00:00,
ხელმოწერილია — 00:00,
ტირაჟი — 00 ეგზ.

ტელეფონები:
წარმოების განყოფილება — 93-97-55,
მდივანი — 93-97-52,
ფინანსების განყოფილება — 93-97-54,
„ეგზარი“ — 93-97-53, „ბიბლიოგრ.“ — 93-97-57.

ფასი 20 კაპიკი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380000, თბილისი, ს. კოტეტიშვილის ქ. 14,
ოფსეტური ოფსეტური წესით სტამბაში: ბოლოტნიკოვის, 29.

ხელმოწერილი ოფსეტურებს ამ ფურცლებისთვის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20